საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თბილქიმფარმი“

„თბილქიმფარმი“ (სააქციო საზოგადოება), სამკურნალო პრეპარატების მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანია კავკასიაში. 1934 დაარსდა თბილ. ქიმ.-ფარმაცევტული ქ-ნა, რ-ის ბაზაზე 1981 შეიქმნა საწარმოო გაერთიანება „საქქიმფარმპრეპარატები”. მასში გაერთიანდა თბილ. ქიმ.-ფარმაცევტული (სათავო საწარმო) და ბათუმის კოფეინის ქ-ნები, ქობულეთისა და შუა ხორგის სამკურნ. მცენარეების საბჭოთა მეურნეობები. 1986, ახმეტის ბიოქიმიური ქ-ნის მიერთების შემდეგ, მას დაერქვა საწარმოო გაერთიანება „საქბიოფარმპრეპარატები”. 1994 გაერთიანება დაიშალა და თბილ. ქიმ.-ფარმაცევტული ქ-ნის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა „თ.” საწარმო პრივატიზებულია და მთლიანად შრომითი კოლექტივის საკუთრებაა. „თ-ის” პრიორიტეტული მიმართულებაა ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა სამკურნ. მცენარეებსა და სხვა სახის ნედლეულზე დამზადებული ნატურალური სამკურნ. საშუალებების წარმოება. იგი უშვებს 60-მდე დასახელების სხვადასხვა დანიშნულების სატაბლეტო, საინიექციო და გალენურ პრეპარატებს (ვიტამინები, გამხსნელები, ფსიქოტროპული, კუჭ-ნაწლავისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნ. საშუალებები, მალამოები და სხვ.). წარმოებისათვის ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი ნედლეული, ნაწილი კი შემოდის გერმანიიდან, შვეიცარიიდან, კვიპროსიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან. ფარმაცევტული პროდუქცია კონკურენტუნარიანია და იგზავნება საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. საერთაშ. ბაზარზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ადგილობრივ სამკურნ. მცენარეებზე (ვალერიანის ფესვები, შავბალახა, პიტნა) დამზადებულ ორიგინ. სედაციურ (სედატონი, ნიუსედი), ბიომასტიმულირებელ, ანთების საწინააღმდეგო (ალოეს მშრალი ექსტრაქტი, ალოეს საინიექციო ხსნარი ამპულებში) პრეპარატებზე. ქ-ნას აქვს მძლავრი ტექ. ბაზა, სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია (მუშაობს საქართველოში არსებული სამკურნ. მცენარეების ექსტრაქციის გზით ახ., ორიგინ. სამკურნ. პრეპარატების მიღების ტექნოლოგიათა დამუშავებასა და წარმოებაში დანერგვაზე), მარკეტინგული სამსახური და ფართო სადისტრიბუციო ქსელი. საწარმოს

მჭიდრო კავშირი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფარმაცევტულ კომპანიასთან. 1996–97 ფრანგი და გერმ. ექსპერტების ხელმძღვანელობით განხორციელდა საწარმოს რესტრუქტურიზაცია, რ-ის საფუძველზეც მოხდა მისი ტექ. გადაიარაღება. კომპანია მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებისა და კარგი მენეჯმენტისათვის დაჯილდოვდა „ოქროს ვარსკვლავით” და ხარისხის სერტიფიკატით (2004, მადრიდი), „ოქროს პრიზით” (2004, ნიუ-იორკი), „პლატინის ვარსკვლავით” და სერტიფიკატით (2004, პარიზი).